



USAID
ამერიკელი ხალხისგან

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



Chemonics
Development works here.

მოთხოვნა საგრანტო განაცხადზე (RFA)

No. 075-3002E-002-S-2019

გამოქვეყნების თარიღი: 13 თებერვალი, 2019

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა: 13 მარტი, 2019

ძვირფასო აპლიკანტო:

USAID ზრდა პროექტი საქართველოში (ზრდა პროექტი), რომელსაც ახორციელებს ქემონიქს ინტერნეიშენალი (Chemonics International), საგრანტო კონკურსის ფარგლებში აცხადებს აპლიკაციების მიღებას სათავგადასავლო ტურიზმის ბაზარზე ახალი პროდუქტების შესაქმნელად. აღნიშნული აქტივობა ითვალისწინებს ადგილობრივი თემების აქტიურ ჩართულობას და დაეხმარება ტუროპერატორებს პაკეტების დივერსიფიცირებაში, საკუთარ პროდუქტებში ახალი მომსახურებების დამატების გზით. გაიცემა და განხორციელდება მინიმუმ 1 გრანტი როგორც ზრდა პროექტის გრანტების მართვის შიდა პოლიტიკის, ისე USAID-ისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო რეგულაციების შესაბამისად.

აპლიკანტებს შეუძლიათ შეკითხვები გამოაგზავნონ წერილობითი სახით ელექტრონულ ფოსტაზე: subawards@zrda.ge შეკითხვების გამოგზავნის ვადაა **18:00 სთ, 2019 წლის 22 თებერვალი**. ზრდა პასუხს გასცემს ყველა რელევანტურ შეკითხვას და გამოაქვეყნებს ზრდას ფეისბუქის გვერდზე, ან ვებ გვერდზე: www.zrda.ge არაუგვიანეს **2019 წლის 26 თებერვლისა**. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არ მოხდება კითხვებზე პასუხების ინდივიდუალურად გაგზავნა.

ასევე, დაინტერესებულ აპლიკანტებს საშუალება ექნებათ დასვან კითხვები და მიიღონ მითითებები აპლიკაციის შევსებასთან დაკავშირებით **2019 წლის 20 თებერვალს, 15:00 სთ-ზე** ზრდა პროექტის თბილისისა და რეგიონალურ ოფისებში გამართულ საინფორმაციო შეხვედრებზე:



თბილისი, ნინო რამიშვილის პირველი ჩიხი #9,
ზუგდიდი, რ. ლალიზის ქუჩა #3
გორი, სტალინის გამზირი #27/1
ახალციხე, წმინდა დავით და კონსტანტინეს ქუჩა #21ა
მარნეული, რუსთაველის ქუჩა #48
ახმეტა, ლესელიძის ქუჩა #36

აპლიკანტებმა, რომლებსაც სურთ დაესწრონ ზემოთ ხსენებულ საინფორმაციო შეხვედრას, უნდა დარეგისტრირდნენ ელექტრონულ ფოსტაზე: subawards@zrda.ge.

რეგისტრაცია უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ორგანიზაციის/ინდივიდუალური საწარმოს/ფიზიკური პირის დასახელება და ასევე იმ პიროვნების სახელი, გვარი ვინც დაესწრება საინფორმაციო შეხვედრას. შეხვედრაზე დასასწრებად აპლიკანტებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ არაუგვიანეს **2019 წლის 18 თებერვლისა**. თითოეული ორგანიზაციიდან შეხვედრაზე დასწრება შეუძლია მხოლოდ ერთ პირს. რეგისტრაციის გავლისას, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ საჭიროებთ რაიმე განსაკუთრებულ პირობებს შეხვედრის ადგილზე მოსასვლელად. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზრდა არ აანაზღაურებს საინფორმაციო შეხვედრაზე დასასწრებად გაწეულ ხარჯებს.

ზრდა პროექტის თანამშრომლებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ, ხოლო აპლიკანტებს ეკრძალებათ შესთავაზონ მათ ფული, საკომისიო, გასამრჯელო, წილი, საჩუქარი, ფულადი საჩუქარი, ღირებული ნივთი ან კომპენსაცია იმის სანაცვლოდ, რომ დაუმსახურებლად მოიპოვონ ან მიიღონ ხელსაყრელი პირობები აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. პროექტის თანამშრომლისგან ნებისმიერი შეუფერებელი მოთხოვნის შესახებ უნდა ეცნობოს პროექტის ხელმძღვანელს ან გაიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე BusinessConduct@chemonics.com.

ქვემოთ მოცემულია დოკუმენტების სია, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე მოთხოვნის დანართებს და უნდა წარადგინოთ სააპლიკაციო ფორმასთან ერთად:

დანართების ჩამონათვალი:

- დანართი A - განაცხადის ფორმა;
- დანართი B- აპლიკანტის თვითშეფასების ფორმა;
- დანართი C - მოთხოვნილი სერტიფიკატები;



- **დანართი D** - ზრდა პროექტის სამიზნე რეგიონების სია (არ არის საჭირო ამ დოკუმენტის დართვა წარმოდგენილი განაცხადისთვის).

სექცია I. პროგრამის აღწერა

IA. მიზანი

USAID Zrda პროექტი მიზნად ისახავს რეგიონული ტურიზმის განვითარების მხარდაჭერას ტურისტული პროდუქტების შექმნით, ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილებისა და ღირსშესანიშნაობების პოპულარიზებისა და ტურიზმის სექტორში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის გზით. ტურიზმის კუთხით ზრდა პროექტის ძირითად სამიზნე რეგიონებს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო და კახეთი (თუშეთი), თუმცა სოფლად მდებარე საოჯახო სასტუმროების შესაძლებლობების განვითარება პროექტის ყველა სამიზნე რეგიონში ხორციელდება. ზრდა პროექტი მუშაობს სათავგადასავლო ტურიზმის ახალი პროდუქტების შექმნაზე და ამ პროცესში აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თემებთან. ზრდა პროექტი ეხმარება ტუროპერატორებს პაკეტების დივერსიფიცირებაში მათს პროდუქტებში ახალი მომსახურებების დამატების გზით.

ტურიზმის სექტორში მომხმარებლის გამოცდილება დიდადაა დამოკიდებული მომსახურების ბაზარზე შემოთავაზებულ გიდებსა და მომსახურებებზე. ვინაიდან საქართველო ამ მხრივ კვალიფიცირებული კადრების სერიოზულ დეფიციტს განიცდის, საჭიროებების აღმოფხვრის მიზნით ზრდა პროექტმა წამოიწყო გიდების გადამზადების პროგრამა.

ზრდა პროექტი მუშაობს კვალიფიკაციების ამაღლებაზე სათავგადასავლო ტურიზმის სფეროს სხვადასხვა დისციპლინაში, როგორცაა: ლაშქრობა, ჯომარდობა, დაივინგი, კანიონინგი და საცხენოსნო ტურიზმი.

სათავგადასავლო ტურიზმთან დაკავშირებული ახალი აქტივობების შესაქმნელად და უკვე არსებული მომსახურებების/პროდუქტების მსოფლიო სტანდარტებზე მოსარგებად პროექტმა საერთაშორისო ექსპერტიზა ჩართო. ზრდას მხარდაჭერით, პროექტის სამიზნე რეგიონებში ახალგაზრდებმა გაიარეს სასერტიფიკატო ტრენინგ კურსები და შეიძინეს პრაქტიკა საზღვარგარეთ, სტაჟირებების მეშვეობით.

ამ მოთხოვნის ფარგლებში, ზრდა პროექტი მოუწოდებს ზრდას ძალისხმევით გადამზადებულ და სერტიფიცირებულ კომპანიებსა და/ან გიდებს, წარადგინონ თავიანთი წინადადებები; აპლიკანტების განაცხადებში დეტალურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, თუ რა ღირებულებას შესძენს ახალი/გაუმჯობესებული მომსახურება



მათ საქმიანობას და როგორ გაიზრდება როგორც მომხმარებელთა რიცხვი, ასევე შემოსავლის მოცულობა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის შემოტანა შეუძლიათ კანონინგის გიდებსა და ინსტრუქტორებს, რომლებიც საქმიანობენ სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის (თუშეთი) რეგიონებში, **მხოლოდ** ზრდა პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან.

IB. ზრდა პროექტის შესახებ

ზრდა პროექტი არის USAID-ის მიერ დაფინანსებული 5-წლიანი პროექტი, რომელსაც ახორციელებს Chemonics International. პროექტის მიზანია ცხოვრების დონის ამაღლება სამიზნე თემებში და ადგილობრივი სუბიექტების - მოწყვლადი ოჯახებისა თუ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSMEs) კვალიფიკაციის, პროდუქტიულობისა და ქსელების გაძლიერება, რათა მათ შეძლონ წვლილის შეტანა ფართომასშტაბიან ეკონომიკურ წინსვლაში. ზრდა პროექტი ხელს შეუწყობს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSMEs) ზრდა-განვითარებას, გაზრდის სოფლის მეურნეობების შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობებს და წახალისებს მწარმოებლებსა და მყიდველებს შორის საბაზრო კავშირების დამყარებას საბაზრო ეკონომიკის გაძლიერების მიზნით. შედეგად, ზრდა გაზრდის შემოსავლებს როგორც მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ისე საოჯახო მეურნეობებისთვის, შექმნის სამუშაო ადგილებს და აამაღლებს ცხოვრების დონეს სამიზნე თემებში.

IC. პროგრამის დეტალური აღწერა

ზრდას სურს მხარი დაუჭიროს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომელთაც სჭირდებათ ხელშეწყობა სათავგადასავლო ტურიზმის ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების შესაქმნელად და ბაზარზე გასატანად და/ან არსებული მომსახურებების/პროდუქტების გასაუბჯობესებლად, რათა მოერგონ საერთაშორისო სტანდარტებს. შედეგად, ეს ინიციატივა დაეხმარება სათავგადასავლო ტურიზმში ჩართულ სუბიექტებს მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორის მოზიდვაში და მრავალფეროვანი და მიმზიდველი პროდუქტებისა თუ მომსახურებების შეთავაზებით გაზრდის გაყიდვების რიცხვს, ასევე გაზრდის როგორც შემოსავლებს, ასევე დასაქმების შესაძლებლობებს ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორში ზრდას სამიზნე რეგიონებში.



გრანტის ფარგლებში ნებადართული ხარჯების მაგალითებია:

- კანიონინგის სპეციალური ტანსაცმელი, კანიონინგის ტურის მოწყობისთვის საჭირო აღჭურვილობა;
- პრომო მასალების, მათ შორის სავიზიტო ბარათების, ბროშურებისა და სხვა ბეჭდვითი მასალები;

ამ საგრანტო კონკურსის ფარგლებში, გრანტის მიმღები ვალდებულია ზრდას მიაწოდოს შემდეგი მასალები:

- ✓ დეტალურად გაწერილი განხორციელების გეგმა, მათ შორის შესაქმნელი /დასახვეწი/გასაუმჯობესებელი პროდუქტის/სერვისების აღწერილობა, პროდუქტის/მომსახურების მიწოდებაზე გათვლილი სავარაუდო ფიქსირებული და ცვალებადი ხარჯები, რენტაბელობის პროგნოზი (1-დან 3 წლამდე), მოსალოდნელი ახალი სამუშაო მოთხოვნები, პროექტის ხანგრძლივობა, ადგილმდებარეობა, მეთოდოლოგია და მთლიანი ბიუჯეტი.
- ✓ იმ მასალების, ინტელექტუალური საკუთრების, პროგრამული უზრუნველყოფის, მომსახურებებისა და/ან აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელთა შესყიდვასაც გეგმავთ – შენიშვნა: აპლიკანტმა უნდა მიუთითოს, შესაძლებელია თუ არა მომსახურებების/აღჭურვილობის შეძენა საქართველოში; აღჭურვილობის გამოწერისა და მისი საქართველოში ჩამოტანის საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა მოიძიოს და მიუთითოს სასურველი მომწოდებლები მხოლოდ აშშ-დან, გარდა იმ გამონაკლისისა, როცა აშშ-ში შესაბამისი პროდუქტი/მომსახურება არ იწარმოება.
- ✓ დეტალურად შედგენილი მარკეტინგის სტრატეგია და მდგრადი განვითარების გეგმა. დოკუმენტები უნდა ასახავდეს პროდუქტის/მომსახურების პოპულარიზების მიმართულებით დაგეგმილ ნაბიჯებს სამიზნე აუდიტორიის მოსაზიდად და აღწინასწარი პროდუქტის/მომსახურების კომერციული სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

შენიშვნა: ზრდა პროექტი არაა ვალდებული ანაზღაუროს სამშენებლო /სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯები. ამ სახის ნებისმიერი ხარჯის დაფარვა აპლიკანტის პასუხისმგებლობაა.



ID. ნორმატიული / მარეგულირებელი რეგლამენტები

ზრდა პროექტის გრანტები ეფუძნება აშშ საგარეო საქმეთა შესახებ კანონისა და USAID-ის წინასწარი დირექტივების სისტემას (ADS). ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ [ADS თავი 303](#), საფუძველზე წარმოდგენილი სახელმძღვანელო, „გრანტები და თანამშრომლობის ხელშეკრულებები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის“ და დაექვემდებარონ USAID სტანდარტული დებულებები აშშ არასამთავრობო მიმღებებისთვის, ასევე ზრდას გრანტების გაცემის შიდა პროცედურებს.

ADS 303 მიუთითებს დამატებით მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც გამოსცა აშშ-ს მთავრობის მენეჯმენტის და ბიუჯეტის განყოფილებამ (OMB) და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ.

- 2 CFR 200 [ერთიანი ადმინისტრაციული მოთხოვნები, თვითღირებულების პრინციპები, და აუდიტური მოთხოვნები ფედერალური კონტრაქტებისთვის, ქვე-ნაწილი E](#) (აშშ

აპლიკანტები მთლიანად ექვემდებარებიან 2 CFR 200)

2 CFR 200 სრული ტექსტი იხილეთ http://www.ecfr.gov/cgi-bin/text-idx?tpl=/ecfrbrowse/Title02/2cfr200_main_02.tpl

ზრდა-მ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ორგანიზაციამ, რომელიც იღებს USAID საგრანტო სახსრებს, შეასრულოს ზემოთ მითითებული სახელმძღვანელო, რომელიც ვრცელდება მათი გრანტების პირობებსა და დებულებებზე.

USAID იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს, ზრდა პროექტის უფლებამოსილება გრანტების გაცემის ნაწილში.

ნაწილი II. ინფორმაცია გრანტის გაცემის შესახებ

ბიუჯეტი: აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ დეტალური ბიუჯეტი მთელი აქტივობისთვის, ყველა შესაბამისი ხარჯის გათვალისწინებით. ზრდა პროექტის საგრანტო თანხა აქტივობის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის მაქსიმუმ 85%-ს უნდა შეადგენდეს. ამ საგრანტო აქტივობის განსახორციელებლად ზრდა პროექტს ჯამში გამოყოფილი აქვს 50 000 ლარი. შესაძლოა ზრდამ დაამტკიცოს პროექტები,

რომლებმაც მთლიანი ფინანსური რესურსის გამოყენება მოითხოვოს, თუმცა არაა ვალდებული სრულად დახარჯოს აქტივობისთვის გამოყენებული ბიუჯეტი. დამტკიცებული პროექტების ღირებულებასა და რიცხვს თავად ზრდა დაადგენს.

აპლიკანტის ფინანსური კონტრიბუცია: ყველა აპლიკანტი ვალდებულია დაფაროს მთლიანი საგრანტო აქტივობის ბიუჯეტის სულ მცირე 15% მაინც როგორც ფულადი, ასევე არაფულადი სახით. უპირატესობა მიენიჭებათ განაცხადებს, რომლებიც ფულად კონტრიბუციას ითვალისწინებს. ბიუჯეტში ნათლად და დეტალურად უნდა იყოს გაწერილი, რომელი ხარჯი ნაზღაურდება გრანტით და რომელი აპლიკანტის კონტრიბუციით. კონტრიბუცია

უნდა იყოს სრულად დოკუმენტირებული ინვოისებითა და სხვა საბუთებით, რომელთა წარდგენაც შესაძლოა მოითხოვოს ზრდამ. ბენეფიციარი ვალდებულია გაწიოს ფინანსური კონტრიბუცია, ზრდა პროექტისგან ფინანსური მხარდაჭერის მიღებამდე ან სანამ ზრდა მისთვის აღჭურვილობას შეიძენს.

საგრანტო პერიოდად გათვლილია მაქსიმუმ 4 თვე. გრანტის დაწყების სავარაუდო თარიღი არის 2019 წლის 15 აპრილი.

გრანტის ტიპის განსაზღვრა მოხდება მოლაპარაკებების პროცესში.

ნაწილი III. კონკურსზე დასაშვებ აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმები

- აპლიკანტი უნდა იყოს დარეგისტრირებული საქართველოში, როგორც კერძო კომპანია და 51%-ით ქართულ მფლობელობასა და დაქვემდებარებაში უნდა იმყოფებოდეს.
- აპლიკანტი უნდა მდებარეობდეს ზრდა პროექტის სამიზნე რეგიონში (იხილეთ დანართი)
- აპლიკაციები მიიღება კანიონინგის ინსტრუქტორებისა და გიდებისგან, რომლებიც სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთსა და ახმეტაში ზრდა პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში საქმიანობენ.
- განაცხადის შემოტანა შეუძლიათ ე.წ. „სტარტაპებსაც“ (დამწყები, ახალგაზრდა კომპანიები). მათ ნათლად უნდა წარმოაჩინონ, რომ ფლობენ წარმატებული,



კომერციულად მომგებიანი პროდუქტის/სერვისის წარმოებისთვის აუცილებელ უნიკალურ მახასიათებლებს.

- პრაქტიკული გამოცდილება და თეორიული ცოდნა სათავგადასავლო ტურიზმის დარგში, კერძოდ, პროდუქტის შექმნის, გუნდის მართვისა და მასპინძლობის მომსახურების კუთხით.
- ყველა აპლიკანტს (მათ- შორის სტარტაპებს), რომელიც აკმაყოფილებს კრიტერიუმებს და მდებარეობს ზრდა პროექტის სამიზნე რეგიონში შეუძლია აპლიკაციის შემოტანა, თუმცა უპირატესობა მიენიჭებათ ამ სფეროში გამოცდილების მქონე აპლიკანტებს.
- გრანტის მიღებამდე, აპლიკანტებმა ხელი უნდა მოაწერონ ამ მოთხოვნას თანდართულ მოწმობებს და ზრდა პროექტი განიხილავს მათ წარმოდგენილ აპლიკაციებთან ერთად.
- ამ მოთხოვნის საფუძველზე გაცემული ნებისმიერი ისეთი გრანტის შემთხვევაში, რომელიც არ არის წარმოდგენილი ნატურით და/ან შეადგენს ან აჭარბებს 25,000 ამერიკულ დოლარს, გრანტის მიმღებ პირებს მოეთხოვებათ, რომ საგრანტოხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტამდე წარმოადგინონ მონაცემთა უნივერსალური ნუმერაციის სისტემით (DUNS) მინიჭებული ნომერი. თუ აპლიკანტს აქვს DUNS ნომერი, ის უნდა მითითებულ იქნას განაცხადში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპლიკანტები ვალდებული არიან, აიღონ ნომერი გრანტის მიღების მომენტამდე. *ზრდა პროექტი* დაეხმარება წარმატებულ აპლიკანტებს DUNS ნომრის მიღების პროცესში. ამ ნომრის მიღება შესაძლებელია ინტერნეტით შემდეგ ვებ გვერდზე: <http://fedgov.dnb.com/webform/pages/CCRSearch.jsp>
- წარმატებული აპლიკანტი იმუშავებს ზრდა პროექტის მარკირების და ბრენდინგის გეგმის შესაბამისად. ზემოხსენებული გეგმა დართული იქნება საგრანტო ხელშეკრულებაზე.

ნაწილი IV – განაცხადის შევსება და წარდგენა

IVA. ინსტრუქციები აპლიკანტებისთვის

ამ საგრანტო კონკურსის ფარგლებში, გრანტის მიმღები ვალდებულია ზრდას მიაწოდოს შემდეგი მასალები:

1. დეტალურად გაწერილი განხორციელების გეგმა, მათ შორის შესაქმნელი/დასახვეწი/გასაუმჯობესებელი პროდუქტის/სერვისების აღწერილობა, პროდუქტის/მომსახურების მიწოდებაზე გათვლილი სავარაუდო ფიქსირებული და ცვალებადი ხარჯები, რენტაბელობის პროგნოზი (1-დან 3

წლამდე), მოსალოდნელი ახალი სამუშაო მოთხოვნები, პროექტის ხანგრძლივობა, ადგილმდებარეობა, მეთოდოლოგია და მთლიანი ბიუჯეტი.

2. იმ მასალების, ინტელექტუალური საკუთრების, პროგრამული უზრუნველყოფის, მომსახურებებისა და/ან აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელთა შესყიდვასაც გეგმავთ – შენიშვნა: აპლიკანტმა უნდა მიუთითოს, შესაძლებელია თუ არა მომსახურებების/აღჭურვილობის შეძენა საქართველოში; აღჭურვილობის გამოწერისა და მისი საქართველოში ჩამოტანის საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა მოიძიოს და მიუთითოს სასურველი მომწოდებლები მხოლოდ აშშ-დან, გარდა იმ გამონაკლისისა, როცა აშშ-ში შესაბამისი პროდუქტი/მომსახურება არ იწარმოება.

3. დეტალურად შედგენილი მარკეტინგის სტრატეგია და მდგრადი განვითარების გეგმა. დოკუმენტები უნდა ასახავდეს პროდუქტის/მომსახურების პოპულარიზების მიმართულებით დაგეგმილ ნაბიჯებს სამიზნე აუდიტორიის მოსაზიდად და აღნიშნული პროდუქტის/მომსახურების კომერციული სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

გრანტის მიმღებმა ზემოხსენებული მასალები უნდა წარადგინოს პროექტთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

IVA1. აპლიკანტის თვითშეფასება

გრანტის მიმღებ ყველა ორგანიზაცია გაივლის წინა საგრანტო რისკების შეფასების პროცედურას, რომელიც ჩატარდება ზრდა პროექტის მიერ. ამ პროცედურის მიზანია იმის დადგენა, აქვს თუ არა ორგანიზაციას ის მინიმალური შესაძლებლობები, რომლებიც აუცილებელია აშშ სამთავრობო სახსრების განკარგვისთვის. აპლიკანტის თვითშეფასების ფორმის შევსება არის პირველი ეტაპი წინა საგრანტო რისკების შეფასების პროცესში. აპლიკანტის თვითშეფასების ფორმა მოცემულია დანართის სახით.

აპლიკანტებს, რომელთა განაცხადები სრულადაა შევსებული და აკმაყოფილებს ან აჭარბებს შესაბამისობის შეფასების კრიტერიუმებს, მომდევნო ეტაპების შესახებ ეცნობებათ განაცხადის განხილვის პროცესში.

IVA2. საგრანტო განაცხადი

აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული საგრანტო განაცხადი. განაცხადის ფორმა თან ახლავს ამ მოთხოვნას.

განაცხადი ხელმოწერილი უნდა იყოს აპლიკანტის უფლებამოსილი პირის მიერ.



IVA3. ხარჯები, რომლებიც არ ანაზღაურდება ზრდა პროექტის მიერ:

ზრდა პროექტის გრანტის ფარგლებში მიღებული სახსრები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი აქტივობებისთვის:

- ცერემონიები, წვეულებები და სხვა პირადი სახის ღონისძიებები
- მშენებლობა ან ნებისმიერი სახის ინფრასტრუქტურული საქმიანობა. მშენებლობა ასევე მოიცავს სარემონტო სამუშაოებს, რეკონსტრუქციას, გადაკეთებას და აღდგენის ხარჯებს.
- ცერემონიების, სადამოების, დღესასწაულების ან წარმომადგენლობითი ხარჯები.
- შეზღუდული საქონლის შესყიდვები, როგორცაა: შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ავტომობილები მათ შორის მოტოციკლები,
- ფარმაცევტული პრეპარატები, სამედიცინო მოწყობილობები, კონტრაცეპტივები, მეორადი აღჭურვილობა; ზრდა პროექტის წინასწარი ნებართვის გარეშე მოპოვებულ, ან აკრძალული საქონელი, აკრძალული საქონელი USAID რეგულაციების თანახმად, მათ შორის და არა მხოლოდ შემდეგი: აბორტის მოწყობილობა და მომსახურებები, ფუფუნების საგნები და სხვა.
- იმ საქონლის ან მომსახურებების შესყიდვა, რომელიც იზღუდება ან იკრძალება USAID წყარო / წარმოების ადგილი მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, (ბირმა (მიანმა), კუბა, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, (ჩრდილოეთ) სუდანი და სირია).
- ნებისმიერი შესყიდვა ან საქმიანობა, რომელიც უკვე განხორციელებულია.
- შესყიდვები ან საქმიანობები, რომელთა შესრულება არ ემსახურება ზრდა პროექტის გრანტით განსაზღვრულ მიზნებს.
- გრანტის მიმღების წინა (გრანტის მიღებამდე) ვალდებულებები და/ან ვალები, საურავები და პირგასამტეხლოები.
- შემოწირულობების ფონდების შექმნა.
- სხვა ხარჯები, რომლებიც დაუშვებელია USAID-ის და/ან ფედერალური რეგულაციების მიხედვით, მაგალითად ალკოჰოლური სასმელები.
- ირიბი ხარჯები

IVB. განაცხადის წარდგენა

განაცხადები წარდგენილ უნდა იქნას ქართულ ან ინგლისურ ენაზე და მათი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს.



განაცხადების წარდგენა/ჩაბარება შესაძლებელია ელექტრონულად შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: subawards@zrda.ge და/ან ბეჭდური ფორმით ზრდა პროექტის ოფისში, შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ნინო რამიშვილის პირველი ჩიხი #9,
ზუგდიდი, რ. ლალიზის ქუჩა #3
გორი, სტალინის გამზირი #27/1
ახალციხე, წმინდა დავით და კონსტანტინეს ქუჩა #21ა
მარნეული, რუსთაველის ქუჩა #48
ახმეტა, ლესელიძის ქუჩა #36

განაცხადში აუცილებლად უნდა მიეთითოს მოთხოვნის (RFA) ნომერი 075-3002E-002-S-2019

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2019 წლის 13 მარტი, 18:00 სთ ადგილობრივი დროით. დაგვიანებული ან შეუსაბამო განაცხადები არ განიხილება.

ნაწილი V. განაცხადის შეფასება

VA1. განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

სრული განაცხადები შეფასდება კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც მითითებულია ქვემოთ ცხრილში:

შეფასების კატეგორია	შეფასება (ქულა)
პროექტის მიზანშეწონილობა და ტექნიკური მიდგომა	15 ქულა
მართვის და განხორციელების შესაძლებლობა	25 ქულა
მდგრადობა / ფინანსური თვითმყოფადობა	25 ქულა
ხარჯთეფექტურობა	20 ქულა
წარსული გამოცდილება	15 ქულა
მაქსიმალური ქულა	100 ქულა

ნაწილი VI. ინფორმაცია გრანტის მიღებისა და ადმინისტრირების შესახებ

ყველა გრანტი ექვემდებარება საბოლოო მოლაპარაკებას, დაითვლება და გაიცემა *ქართულ ლარი*. განაცხადებს თან უნდა ერთვოდეს დეტალური და რეალისტური ბიუჯეტი, როგორც ეს აღწერილია სექცია IV-ში.

გრანტის ფარგლებში გაწეული ყველა ხარჯი უნდა იყოს დასაშვები, დათვლადი და გონივრული/მიზანშეწონილი.

წინამდებარე მოთხოვნის გამოქვეყნება და განაცხადის შევსების პროცესში დახმარება არ გულისხმობს ზრდა პროექტის მიერ გრანტის გაცემას ან არ ავალდებულებს მას აპლიკანტების მიერ განაცხადის მომზადებასა და წარდგენაში გაწეული ხარჯების დაფარვას. გარდა ამისა, ზრდა პროექტი უფლებას იტოვებს მიიღოს ან დაიწუნოს ნებისმიერი ან ყველა მიღებული განაცხადი და უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი განმარტებები განმცხადებლებისაგან. აპლიკანტებს წერილობით ეცნობებათ მათი განაცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.